საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 11 თებერვალი, 2015 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/32

საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუ-ნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2015 წლის 11 თებერვლის № 04-01/32
დადგენილების დანართი

საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

1. დრამისა და კინოს სამსახიობოსა და თოჯინების თეატრის სამსახიობოს საგანამანათლებლო პროგრამებში 240 კრედიტის ფარგლებში 10 კრედიტით გაიზარდოს მსახიობის ოსტატობის სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობა.

2. დრამატული თეატრის რეჟისურისა და თოჯინების თეატრის რეჟისურის საგანამანათლებლო პროგრამებში 240 კრედიტის ფარგლებში:
   10 კრედიტით დაემატოს და გადანაწილდეს რეჟისორის ოსტატობისა და მსახიობის ოსტატობის სასწავლო კურსებზე.

3. სამსახიობო და სარეჟიროსო სპეციალობის წამყვანი დისციპლინების მიმართულებით წამყვან დისიპლინებში კვირაში 8-9 საათის ნაცვლად სალექციო საათების რაოდენობა გაიზარდოს 11-12 სალექციო საათამდე.

4. საშემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ვოკალური ანსამბლის სასწავლო კურსი ჩანაცვლებულ იქნას ვოკალის სასწავლო კურსით.

სწორია: